



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 10 აგვისტო

**დისციპლინური საქმე №79/21-3
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- 2021 წლის 1 ივლისის №79 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 6 ივლისის №290/79-03 წერილით მოსამართლე --- ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლის მიერ უსაფუძვლოდ იქნა ძალაში დატოვებული საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის განჩინება.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 22 აპრილს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხე --- მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის, მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით (მოსამართლე ---).

2016 წლის 21 სექტემბერს --- დაზუსტებული სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხეების --- და --- მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის, მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით (მოსამართლე ---).

2017 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა --- სარჩელი; მოპასუხეების --- და --- უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა --- საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება, --- და --- აეკრძალათ --- კვ.მ და --- კვ.მ მიწის ნაკვეთებისა და ---, ---, --- და --- შენობა-ნაგებობით სარგებლობის ხელშეშლა.

2017 წლის 1 მაისს --- და --- სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში 2017 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის სხდომაზე --- გაიხმო სარჩელი ერთ-ერთი მოპასუხის, --- მიმართ. 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით --- უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის

დაკმაყოფილებაზე, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის 2017 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება (მხოლოდ ერთ-ერთი მოპასუხის, --- მიმართ).

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 25 იანვრის განჩინება 2018 წლის 17 ივლისს საკასაციო წესით გაასაჩივრა ---. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინებით კასატორის საჩივარი დარჩა განუხილველი.

2019 წლის 30 იანვარს --- განცხადებით მიმართა --- სასამართლოს და 2017 წლის 22 მარტის პირველი ინსტანციის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადებული სააღსრულებო ფურცელი მოითხოვა. სააღსრულებო ფურცელი მხარეს ჩაბარდა 2019 წლის 25 თებერვალს.

2019 წლის 5 მარტს --- სასამართლოს განცხადებით მიმართა --- და მისი --- უფლებამონაცვლედ ცნობა მოითხოვა (სადავო ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე). 2019 წლის 19 მარტის განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, --- აღიარებულ იქნა --- უფლებამონაცვლედ.

2019 წლის 23 ოქტომბერს --- წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს მოსამართლე --- და სააღსრულებო წარმოების შეჩერება მოითხოვეს. განცხადების ავტორების მტკიცებით, --- სასამართლოში განიხილებოდა მოპასუხის შვილის განცხადება --- მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე და ამდენად, არსებობდა სააღსრულებო წარმოების შეჩერების კანონიერი საფუძველი. გარდა ამისა, სადავო ბინაში ცხოვრობდა მოპასუხის ფეხმძიმე რძალი, რომელსაც ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და მისი გამოსახლება საფრთხეს შეუქმნიდა როგორც დედის, ისე ნაყოფის სიცოცხლეს. 2019 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდა, 2017 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა სასამართლოს მიერ --- - მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული განჩინება --- გაასაჩივრა 2019 წლის 06 ნოემბერს. --- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 19 თებერვლის განჩინებით --- უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2.2. 2020 წლის 3 სექტემბერს --- განცხადებით მიმართა სასამართლოს 2019 წლის 25 ოქტომბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით. 2020 წლის 3 სექტემბერს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---.

2020 წლის 18 ნოემბერს --- კვლავ განცხადებით მიმართა სასამართლოს 2019 წლის 25 ოქტომბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით. 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით --- 2020 წლის 18 ნოემბრის განცხადება 2019 წლის 25 ოქტომბრის განჩინების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველი.

2.3. 2021 წლის 25 იანვარს --- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2021 წლის 21 იანვრის განჩინების გაუქმების თხოვნით.

--- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის განჩინებით --- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა 2021 წლის 21 იანვრის განჩინება (თავმჯდომარე ---, მოსამართლეები ---, ---).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჩრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების /განხორციელებული ქმედებების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. ამავე მუხლის მეხამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებისა თუ განხორციელებული ქმედების შემოწმებას, არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შეწყდეს -- -- 2021 წლის 1 ივლისის №79 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი